პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918 წლიდან

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 1951 წ. № 221 (9075). ფასი 20 კაპ.

გუშინ, 18 სექტემბერს, მუშაობას შეუდგა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციის დელეგატები — საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — თავიანთ მგზნებარე სიტყვებში მხურვალედ იწონებდნენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას, ადასტურებდნენ, გმობდნენ ამერიკელ-ინგლისელ ომის გამჩაღებლებს, აცხადებდნენ, რომ მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ მშვიდობის დაცვის საქმეს, მშვიდობის ურყევი ბურჯის — საბჭოთა კავშირის ძლიერების შემგებლობ განმტკიცების საქმეს.

დღეს კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

დიდი გამარჯვება ჩაის ფრონტზე

ჩვენი რესპუბლიკის ჰავისა და ნიადაგის პირობები საშოლტებას გვაძლევს სამრეწველო მასშტაბით მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირისათვის უაღრესად ძვირფასი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, კეთილშობილი დაფნა და სხვ.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობითა და დახმარებით საქართველოში შექმნილია ჩაისა და ციტრუსების მძლავრი მეურნეობა.

ამხანაგმა სტალინმა საქართველოს შრომელთა წინაშე დასახა ამოცანა — უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება საკუთარი ჩაით. საქართველოს ბოლშევიკები, ყველა მშრომელი ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ დიდი ბელადის დავალება, და ყოველწლიურად მნიშვნელოვან ჩაშრატებებს აღწევენ ჩაის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ჩვენი გაზეთის 16 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი საქართველოს სსრ რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ.

„მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, — ნათქვამია ამ დოკუმენტში,— **რომ საქართველოს სსრ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკავშირო მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და თქვენი პირადი დახმარების და ყურადღების მეოხებით მიმდინარე წელს მოიყვანეს ჩაის ფოთლის უზვი მოსავალი. 10 სექტემბრის მათ ვადამდე — 100,7 პროცენტით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა. მოკრეფილი და ჩაბარებული ჩაის ფაბრიკებისათვის 10.858 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1950 წლის იმავე თარიღისათვის. მნიშვნელოვანი გადაჭარბებითა შესრულებული საგეგმო დავალება დამზადებული ჩაის ფოთლის ხარისხის მხრივ. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მწვანე ფოთლის საერთო რაოდენობაში პირველი ხარისხის ფოთოლი შეადგენს 84,3 პროცენტს და მეორე ხარისხის ფოთოლი — 15,7 პროცენტს.**

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ჩაის ფრონტზე მოპოვებული ახალი შესანიშნავი გამარჯვება.

მეჩაიეთა გამარჯვება მოპოვებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის დაუფალავი მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით. მეჩაიეები საბჭოთა სახელმწიფოსგან დიდძალი რაოდენობით იღებენ მინერალურ სასუქებს, მანქანებს, ფუღლა სახლრებს, ყოველწლიურად მაღლდება ჩაის მეურნეობის მექანიზაციის დონე.

საქართველოს მეჩაიეთა გამარჯვება მოპოვებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაჩაღებული დიდი შემოქმედებითი შრომის შედეგად. ჩაის პლანტაციებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი საერთო აღმავლობის ამაღლებას. მეჩაიეობის რაიონები, კოლმეურნეობები, ბრიგადები, ოგოლები, ცალკეული კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობები ეჯიბრებიან ერთმანეთს მოსავლიანობის გადიდების საქმეში. შეჯიბრების გაჩაღების შედეგად მთელი რიგი რაიონები დაწინაურდნენ ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების საქმეში. მაგალითად, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წლიური გეგმის შესრულების შემდეგ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ 2.650 ტონა ჩაის ფოთოლი; აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბაროს 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი; მახარაძის რაიონი იბრძვის იმისათვის, რომ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბაროს 2.200 ტონა ჩაის ფოთოლი. ასევე გეგმის გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს ლანჩხუთის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ცხაკაიის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების კოლმეურნეობები. საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა წლიური გეგმის შესრულების შემდეგ იკისრეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

საქართველოს მეჩაიეთა ახალი გამარჯვება იმის შედეგია რომ პარტიამ მზრუნველობით აღზარდა ნეჩიერი, ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები — აგრონომები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლურები, უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებიც ჩვენი კოლმეურნეობების ოჯრის ფონდს წარმოადგენენ. ისეთი ადამიანებმა, როგორიც არიან ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია და სოციალისტური შრომის გმირები ქსენია სარსანია, დარეჯან ტაკაძე, ლაისო ბელისტერია, გული ჯინჭარაძე და მრავალი სხვა, დაანახვეს მეჩაიე კოლმეურნეებს და სპეციალისტებს, თუ რამდენად შეეძლია ფოთლის მოსაგლის გადიდება ბოლშევიკურ აგროტექნიკის კარგად და დროულად მოკლას.

საბჭოთა მეჩაიეების ახალი მორიგი გამარჯვება ეზიარებულია სოფლის მეურნეობისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისადმი დიფერენცირებულმა მიდგომამ. ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციები მოხერხებულად ეფარებიან ეროვნულ ეროვნულ საქმიანობას, რაც გამარჯვების გადამწყვეტი პირობაა.

საბჭოთა მეჩაიეებმა კარგად იციან, რომ არ შეიძლება მიღწეულით თვითკმაყოფილებას მივეცენ. წინ კიდევ დიდი სამუშაოა. ჩაის დარგში შეძენილი შესანიშნავი გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ მოსავლიანობის ახალ, მკეთრ აღმავლობას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1948 წლის 15 აპრილის ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა: „უზვი მოსავლის ოსტატთა მიღწევები ჩაის მეურნეობის განვითარების ახალ პერსპექტივებს სახავენ. ეს მიღწევები **გზას** გვაკაფავენ იმისაკენ, რომ ჩაის პლანტაციების მთელ ფართობზე უახლოეს მომავალში მწვანე ფოთლის 4-5-ჯერ მეტი მოსავალი მივიღოთ, ვიდრე ამჟამად ვიღებთ. უკიმტტაროდაც ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის და, კერძოდ, ჩაის რაიონების კოლმეურნეობათვის“.

საქართველოს მშრომელებმა პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ წელს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფენ და მრეწველობას ჩაბარებენ 10.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ამ ვალდებულების გასანაღდებლად უნდა დაეარაზმით სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა ძალები. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ყოველდღიურად, განუწყვეტლივ კერძოფოთ ჩაის ფოთოლი. არ არსებობს იმაზე უფრო სპეტაკი ამოცანა, ვიდრე დიდი ბელადისთვის მიცემული სიტყვის წესრულება. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა მეჩაიეების ახალ შრომითს აღმავლობას, კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ჩვენი მეჩაიეები შემოქმედებითს შრომას ეწევიან საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომფოსნის ამაღლებისათვის. ისინი წყვალ-კოლუკას უთანან ამერიკელ - ინგლისელ იმპერიალისტთა ბროვას, რომელნიც გაცოფებულნი იბრძვიან ომის გასაჩაღებლად, მშვიდობიანი ადამიანების ამოსაღლეტად.

დიდი პოლიტიკური აქტივობის ეთარგბაში დაიწყო გუშინ თბილისში მუშათა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციამ. გამოსატეს რა ქართველი ხალხის ნება და სურვილი, კონფერენციაზე გამოსულმა დელეგატებმა მხურვალედ მოიწონეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილება — სსრ კავშირში მოეწყოს ხელმოწერის შეგროვება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე.

საქართველოს მშრომელები საყოლმეურნეო ცხოვრების შემოქმედის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი მეგრეშის ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გაამაგრებენ შესანიშნავ წარმატებებს და ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობას მთლიანად. უზრუნველყოფენ მაღალხარისხოვანი ქართული ჩაით.

◁

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია

გუშინ, 18 სექტემბერს, საღამოს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია. დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოსულმა დელეგატებმა. აქ არიან საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, ტექნიკური ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, მასწავლებლები და ექიმები. ისინი აღმჭურვილი არიან რწმენებით, რათა კონფერენციის ტრიბუნიდან ყველას გასაგონად განაცხადონ: ქართველ ხალხს არ სურს ომი, იგი ერთგული მშვიდობისა და მთელი ძალებით დაიცავს ამ კეთილშობილურ საქმეს.

დარბაზი, სადაც კონფერენცია მუშაობას შეუდგა, მორთულია ლოზუნგებით. წითელ ქსოვილებზე ელავს სიტყვები, რომლებიც ყველა პატიოსანი ადამიანის გულისხმიერებას გამოხატავს: „დიდება მშვიდობის დიდ მეგრეშეს ამხანაგ სტალინს!“, „მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა“, „მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის“.

სცენის სილრმეში, ცოცხალი ყვავილების ფონზე მოჩანს მშვიდობის მეგრეშის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის პორტრეტი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მშვიდობის მოხმრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენციის მომწვევი სანინციატივო კომიტეტის წევრები: პოეტი-დრამატურგი ი. მოსაშვილი, კომპოზიტორი ა. მაღარნიეაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ვაჩნაძე, თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ნ. ვამეცმლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ჯანელიძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ფორეკაკაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კ. ზავრიევი, სოციალისტური შრომის გმირი, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კორიფეი სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქავთარაძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ი. კოტლაძეაზაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, ანსის რაიონის სოფელ ქვემო გოშის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მარიდაშვილი, სტალინის სახელობის თბილისის ორთოქმაფალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკე ი. მარიანე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე კ. ჭიჭინაძე.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სანინციატივო კომიტეტის თავმჯდომარემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა, პოეტმა - დრამატურგმა ი. მოსაშვილმა.

— ამხანაგებო, — ამბობს იგი,— როცა ძლევამოსილმა საბჭოთა მხედრობამ საბოლოოდ გაანადგურა ჰიტლერელ კაცისმკვლელთა ურდოები და ბერლინის თავზე გამარჯვების დროშა აღმართა, მშვიდობიან ცხოვრებას მოწყურებული ყველა მშრომელი, ყველა პატიოსანი ადამიანი ფიქრობდა, რომ მსგავსი ხოცვა-ჟლეტა თუ სამედამოდ არ აღიკვეთებოდა, დიდხანს მაინც კი გამეორდებოდა. იმას მაინც ვერავინ იფიქრობდა, რომ ხანგრძლივი საერთაშორისო უშიშროების დასაცავად შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამერიკელ - ინგლისელ იმპერიალისტ მტაცებელთა მეოხებით მოკლე დროში გადაიქცეოდა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების იარაღად. სამწუხაროდ, ამ ფაქტის მოწმე გახდა მთელი მსოფლიო.

როგორც ერთ დროს განდიდების მანიით შეპყრობილი ფაშისტი აკაზაკები მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდნენ, ამერიკის მტაცებლური იმპერიალიზმის დღევანდელი მესვეურებიც მსოფლიოს დაპყრობისა და მთელი ქვეყნის ხალხთა დამონების ისეთსავე გიჟურ გეგმებს ადგენენ.

ამ მიზნით შეიჭრნენ ისინი კორეაში, ამ მიზნით ყაჩაღურად იგდეს ხელი ჩინეთის კუნძული ტაივანი და თვით ჩინეთში შეეპრან ამზადებენ.

საბჭოთა ხალხს, შემოქმედსა და მშვენიერ ხალხს არ უნდა ომი. მას კარგად ახსოვს განვლილი ომის საშინელებანი, კარგად ახსოვს, ჩვენი აყვავებული სოფლებისა და ქალაქების ნანგრევებში ცოცხლად დამარხულ შვილებს როგორ დასტიროდნენ გულმოკლეული დედები, ახსოვს უწმწო ბავშვებზე, ქალებსა და მოხუცებზე მონადირე ფაშისტიანი ბესტიშტიტები, ცეცხლმოკიდებული ყანები და ლტოლვილებით მოფენილი გზები.

კარგად ახსოვს ყოველივე ეს ჩვენს ხალხს, და ამიტომ სძულს ომი.

მან უკვე მოიშუშა ნაომარი ჭრილობები და მშვიდობიან შრომას მოწყურებული დაებრუნდა სტალინური ეპოქის ბუმბერაზ ხარაჩოებს, „შეუდგა დიდ სტალინურ მშენებლობათა გეგმების განხორციელებას. მან იცის, რომ მშვიდობისთვის ბრძოლაში გმირული შრომით გაიმარჯვებს.

საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს, სულერა თავისი ნათელი, ბედნიერი ხვალინდელი დღე, სწამს დიდი სიმართლე ლენინ-სტალინის ბრძენი პარტიისა, რომელმაც მს მტერზე გამარჯვება ასწავლა, სწამს და უსაზღვროდ უყვარს ყველა მისი გამარჯვების სულისჩამდგმელი დიდი სტალინი.

საბჭოთა ხალხს უძლეველობის ძალა ამ რწმენასა და სიყვარულშია. ეს სიყვარული რაზმავს მშვიდობის დიდი დროშის გარშემო მსოფლიოს ყველა მშრომელს, კეთილი ნების ყველა ადამიანს.

მხოლოდ ექნები თვე გავიდა, რაც ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერა დაიწყო და ხელისმოწერთა რიცხვმა **ოთხმოცის** ნახევარ მილიარდს მიაღწია.

მალე ამ მიმართვას თავის ერთსულოვან ხმას შეუერთებს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხიც, რომელიც მუდამ იყო ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მედროშე.

მთელი საბჭოთა ხალხი და, ცხადია, ქართველი ხალხიც მხურვალედ უჭერს მხარს თავის მთავრობას, რომელიც, ამხანაგ სტალინის სიტყვით, „კვლავაც ურყევად განაახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას“. ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ხელს მოაწერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და ამ ხელმოწერას შრომის ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვებით განამტკიცებს.

ალბალელი და უძლეველი მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში. მშვიდობის დაცვა, ჩვენი საუკუნის ეს უკეთილშობილესი იდეა, ისეთ ცოხე-სიმაგრედ გადაიქცა, რომლის სიმტკიცეს ამერიკელ-ინგლისელ ომისგამჩაღებელთა ვერაგთთარი მაკინაციები ვერ შეარყევენ.

ამ ციხე-სიმაგრის დუღაბია ლენინ-სტალინის პარტიის უკვდავი იდეა, იდეა ჩაგრულთა მონობიდან დახსნისა, ხალხთა ძმობისა და სტალინური მეგობრობისა. იგი სტალინის დიდ სახელშია განსახიერებული.

დიდხანს ცოცხლობდეს მშვიდობის ბრძენი მედროშე დიდი სტალინი! **(მეუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ი. მოსაშვილის შესავალი სიტყვის დამთავრების შემდეგ პროფესორ წერეთლის წინადადებით კონფერენცია ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს.

საქმიან პრეზიდიუმში სანინციატივო კომიტეტის შემადგენლობის გარდა არჩეული არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. ლენინიე, სრულიად საქართველოს პატრიარქი კალისტრატე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი თ. ქვლივიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჯავახიშვილი - კომახიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. გელესანიელი, კომპოზიტორი შ. შუბლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გ. მუხაძე, არქიტექტორი მ. ზაფრანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. კეკენაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ჩიქობავა, თბილისის მექანიკური ქარხნის ბარატი ე. მოსესოვი, პარტიის გორის რაიონის მდივანი ნ. ურუკოშელაშვილი, დამსახურებული მასწავლებელი ნ. ხალრიძე, მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეოროლური, სოციალისტური შრომის გმირი ფ. ტაკაძე, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა, საბჭოთა კავშირის გმირი მ. ქანთარია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ქ. ბახტაძე, პოეტი რ. ასაეი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მენობელი გ. სიგეკი, ჯაფარის მაღაროელი ა. ძაბახიძე, ტყიბულის მეშახტე ლ. გოჩელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. არაშა, მწერალი პ. ლორია, თბილისის 26 კომბინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი გ. კაკაბაძე.

შემდეგ კონფერენცია ირჩევს სამდივნოს და სამანდატო კომისიას.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ხორავას. იგი სამპატო პრეზიდიუმში ასახელებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობას მშვიდობის დიდი მეგრეშეს ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამხ. ხორავას წინადადებას კონფერენციის მონაწილენი მეტბარე ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან. ყველა ფეხზე დგება. დიდხანს გრძელდება ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძის წინადადებით კონფერენცია ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. საბჭოთა ხალხი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში;

2. მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის არჩევნები;

3. მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ჯანელიძემ **(ამხ. ა. ჯანელიძის მოხსენება იხეიდება ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე).**

ამხ. ჯანელიძის მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ყიფშიძემ, თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ნ. გამეცმლიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, კომპოზიტორმა შ. შუბლიძემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა, სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა ფ. ხიბაშამ, ტალინის სახელობის თბილისის ორთოქმაფალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკემ ი. ბაჩიაძემ, პოეტმა ხ. ხალვაშმა (აჭარა), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სტეფიფრო-მექანიკური საამქროს მხეზავმა ს. ჯიქიძემ, პოეტმა რ. ასაეამ (სამხრეთ ოსეთი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ზავრიევმა, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლეგი სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ქავთარაძემ.

ამით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

დღეს დილის 11 საათზე შეიდგება კონფერენციის მეორე სხდომა.

▷



მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია. ს ტრიბუნაზე: კონფერენციის დარბაზში. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ჯანელიძე. ფოტო ვ. ვინჩუკოვისა და რ. აკოფოვისა

ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხები“ უკბარდოულ ენაზე

ნალჩიკი, 17 სექტემბერი. (საკუთ.). უკბარდოს ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ უკბარდოულ ენაზე გამოქვეყნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხები“. თარგმანი რუსული ენიდან შესრულებულია საკავშირო კ. პ. (ბ) უკბარდოს სოფლის კომიტეტის კომისიის მიერ.

მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია

საბჭოთა ხალხი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ამხ. ა. ჯანელიძის მოხსენებიდან

ამხანაგებო!

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებას — მოეწყოს ხელმოწერის შეგროვება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ — საბჭოთა კავშირში ყველგან უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მშვიდობის მომხრეთა ჩვენს რესპუბლიკურ კონფერენციას ესწრება 350 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას: მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მეცნიერ მუშაკებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს. კონფერენცია უფლებამოსილია გამოთქვას ქართველი ხალხის ფიქრები, ნება და მისწრაფება. და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველანი დღეს ვფიქრობთ ერთ რამეზე — ომსა და მშვიდობაზე — და ყველანი ომის მტრები და მშვიდობის მომხრენი ვართ.

მაგრამ ომის წინააღმდეგ ყოფნა კიდევ არ არის ომის თავიდან აცილების საკითხის გადაწყვეტა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობის მისწრაფებას მშვიდობისაკენ წინააღმდეგობას უწევენ ის ძალები, რომლებიც ომისათვის მუშაობენ. ესენი არიან იმპერიალისტები, რომლებისთვისაც ომი ხელსაყრელი საქმეა, მოგების, პირადი კეთილდღეობის წყაროა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც მთელ კაცობრიობას აურაცხელ მსხვერპლად დაუჯდა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა ძალებმა დაიწყეს ახალი ომის მზადება, მიისწრაფვიან დაამყარონ თავიანთი მონოპოლიების შეუზღუდველი ბატონობა მთელ მსოფლიოში.

გაფაციცებით ემზადებიან რა ახალი მსოფლიო ომისათვის, ამერიკის მმართველი წრეები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას. როგორც თვით ამერიკის პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რაოდენობა უკანასკნელ წლებში თითქმის ერთიორად გადიდდა, ხოლო სამხედრო ხარჯები მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის (რომელიც 1 ივლისს დაიწყო) 70 მილიარდ დოლარამდე გადიდდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ხარჯები მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 76 პროცენტს შეადგენს. ყოველი 10 დოლარიდან 7,5 დოლარი სამხედრო ხარჯებს ხმარდება! ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ 1939 წელს, ე. ი. მეორე მსოფლიო ომის წინ, შეერთებული შტატები სამხედრო საქმეებზე 1,07 მილიარდ დოლარს ხარჯავდნენ, მიმდინარე საბიუჯეტო წელს კი ამ ხარჯებს თითქმის სამოცდაათჯერ ზრდიან. ამ სახსრების მეტი ნაწილი ხელში უვარდებათ მონოპოლისტებს შეიარაღზე მიცემული დაკვეთების შესრულებით მიღებული მოგების სახით. და, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მკვეთრ გავლენას ახდენს მშრომელი მასების საარსებო დონეზე. ფასების მაღალი დონის გამო, რომლებიც უზრუნველყოფს მონოპოლიების ზემოგებას, მშრომელთა ხელფასი მცირდება, გადასახადები მატულობს, ე. ი. არსებითად სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას სახელმწიფო მშრომელთა ხარჯზე ახორციელებს.

ვინ არიან ეს მონოპოლისტები და როგორ ახდენენ გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკაზე, მსოფლიოს ბედზე? საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო მორგანის საფინანსო-საბანკო ჯგუფი ფლობს 55 მილიარდი დოლარის აქტივებს, როკფელერის ჯგუფი, რომელსაც ხელთ უპყრია ნავთის მრეწველობა, — 26,7 მილიარდი დოლარის აქტივებს. მილიარდობით დოლარი თავმოყრილია დიუპონის და უოლ-სტრიტის სხვა მაგნატების კონცერნების ხელში.

ამერიკის კაპიტალის გიგანტურ მონოპოლიებს და მათს ფილიალებს თავიანთ ქსელში გახვეული ჰყავთ არა მარტო შეერთებული შტატები, არამედ მთელი კაპიტალისტური სამყაროც, ისინი გეზს აძლევენ თავიანთი სატელიტების ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებას და უკარნახებენ მათ თავიანთ პოლიტიკას.

ომი მათთვის, როგორც თვითონვე ამბობენ, „ბრწყინვალე ბიზნესია“, ასე იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს, როცა უდიდესი კაპიტალები დასავლეთ ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. მარტო მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკამ 107 მილიარდი დოლარი მოგება მიიღო.

ამერიკის მონოპოლიებს უდიდეს მოგებას აძლევს კორეაში წარმოებული ომი. სამხედრო მრეწველობაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, ამ ომის მარტო პირველ 6 თვეში ამერიკელმა სპეკულანტებმა 36,5 მილიონი დოლარი მოგება მიიღეს სოიით, 14 მილიონი — ბამბით, 11 მილიონი — ხორბლით.

„პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა: „...ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ისე როგორც საფრანგეთში, არიან აგრესიული ძალები, რომელთაც სწყურიათ ახალი ომი. ომი მათ ესაჭიროებათ ზემოგების მისაღებად, სხვა ქვეყნების გასაძარცვავად. ესენი არიან მილიარდერები და მილიონერები, რომელნიც ომს ისე უყურებენ, როგორც შემოსავლიან საქმეს, რაც კოლოსალურ მოგებას იძლევა.

მათ, ამ აგრესიულ ძალებს, უპყრავთ ხელში რეაქციული მთავრობები და გეზს აძლევენ მათ“.

იმპერიალისტ აგრესორთა გეგმებს, რომლებიც მიმართულია ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ, თავის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას უპირისპირებს დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობისათვის მებრძოლ ძალებს. მშვიდობის მტკიცე, თანმიმდევარ, მედგრად დარაზმულ მებრძოლებად გამოდიან დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ხალხები და მთავრობები, კაპიტალისტური ქვეყნების მთელი პროგრესული დემოკრატიული ძალები, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც ფეხზე დადგნენ კოლონიური ჩაგვრის მოსპობისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხი იბრძვის ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე, განამტკიცებს სსრ კავშირის როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენის ძლიერებას.

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრი ზრდა იწვევს ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას.

ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეუდგა ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენას და შესანიშნავ მიღწევებს მიაღწია. ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმა შესრულდა ვადამდე — 4 წელიწადსა და 3 თვეში. საბჭოთა კავშირში საბარათო სისტემა დიდიხანია გაუქმებულია, პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის ფასები სისტემატურად მცირდება, მშრომელთა საარსებო დონე დღითიდღე მაღლა იწევს.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ომისშემდგომ პერიოდში შეუდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული ამოცანის განხორციელებას.

ჩვენს ქვეყანაში შენდება გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები — კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკისა. იცვლება სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის ბუნება. თურქმენეთის ყარაყუმის უდაბნოს მეტი ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ ნაყოფიერ მხარე გახდება. ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა ჩვენს თვალწინ ხორციელდება. მძლავრი ამუ-დარია ნაცვლად არალის ზღვისა კასპიის ზღვას შეუერთდება, გაივლის იმ გზით, რომლითაც გეოლოგიურ წარსულში მიედინებოდა. ჩვენს თვალწინ რეალურად ხორციელდება ისეთი საქმეები, რომლების მსგავსი ზღაპრებშიც კი არ თქმულა. და ყოველივე ეს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

საბჭოთა ხალხი კომუნიზმს აშენებს. თავდადებულად ახმარს რა ამ დიად მიზანს თავის ძალებსა და ენერგიას, იგი განამტკიცებს მშვიდობის საქმეს, რადგან ახსოვს, რომ ცხოვრების უდიდეს სიკეთეს — მშვიდობის მოთმინებით ალსავსე და ბეჯითი შრომით მოიპოვებს. საბჭოთა ადამიანები პაციფისტები როდი არიან, მათ კარგად იციან, რომ მშვიდობის მოპოვება მხოლოდ ბრძოლით შეიძლება, და ამიტომ მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვიან ომის წინააღმდეგ, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

დიდი ლენინი ამბობდა: „მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა მიმართულია სრულებითაც არა იმისაკენ, რომ ხალხები ომში ჩავაბათ, არამედ იმისაკენ, რომ ბოლო მოვუღოთ ომს“.

თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის შეიარაღების შემცირებისათვის, ატომური იარაღის, როგორც ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალების, აკრძალვისათვის, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის. მაგრამ ომის გამჩაღებლები, და პირველ რიგში ამერიკელი მონოპოლისტები, უარს ამბობენ ამ გონივრულ წინადადებათა მიღებაზე.

მსოფლიო ომის საფრთხე გაიზარდა მას შემდეგ, რაც კორეაში ამერიკულ აგრესორთა შეიარაღებული ინტერვენცია დაიწყო. საბჭოთა კავშირმა, რომელიც თავიდანვე გამოდიოდა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრედ, წინადადება წამოაყენა დაწყებულიყო მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ. მაგრამ, დაიწყეს რა მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ, აგრესორები განაგრძობენ თავიანთ შავბნელ საქმეს — ბარბაროსულად ბომბავენ კორეის მშვიდობიან ქალაქებს და ნეიტრალური ზონის რაიონსაც კი, სადაც წარმოებს მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ, და ფაქტიურად ფუშავენ ამ მოლაპარაკებას.

ახალი ომისათვის მზადებას წარმოადგენს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დიქტატით სან-ფრანცისკოში დადებული სეპარატული საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან.

საბჭოთა კავშირი ურყევად დგას მშვიდობის სადარაჯოზე, იცავს მშვიდობის საქმეს. და ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არის მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს დიდი მაგალითი ენერგიას უმატებს კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ ხალხებს. ჩვენს მხარამხარ დგანან 475-მილიონიანი ჩინეთი, ევროპის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებში გაიშალა მშვიდობისათვის მებრძოლთა მძლავრი ფრონტი. ესენი არიან მოწინავე მუშები, გლეხები, პროგრესული ინტელიგენცია.

მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში გაერთიანდნენ ყველა ქვეყნის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენები, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური რწმენისა, პარტიული კუთვნილებისა. მათ შექმნეს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ორგანიზებული ფრონტი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. მშვიდობისათვის ხალხთა მოძრაობამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. მშვიდობის ძალებს მეთაურობს საბჭოთა ხალხი, რომელიც დარაზმულია თავისი მშვიდობისმოყვარე მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის გარშემო.

მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის დღეს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „...მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი წარმოადგენს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელს, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელს... მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი დაუღალავად ამჟღავნებს ახალი ომის გამჩაღებლებს და მშვიდობის დროშის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის მძლავრ ბურჯს“.

საბჭოთა კავშირის გარშემო დაირაზმა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, რომელიც 800 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს.

იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან. მაგრამ მშვიდობისათვის მებრძოლნი, მშვიდობის მილიონობით მომხრენი ფხიზლად არიან. ისინი ყველა საშუალებით იბრძვიან ომისათვის მზადების წინააღმდეგ. ფუშავენ აგრესორთა გეგმებს. საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში დოკერები უარს ამბობენ ამერიკული საჭურველით დატვირთული გემების გადმოტვირთვაზე. მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა საგმირო საქმე ფრანგი პატრიოტი ქალის რაიმონდა დიენისა, რომელიც რკინიგზის ლიანდაგზე დაწვა, რათა შეეჩერებინა მატარებელი, რომლითაც ვიეტნამში იგზავნებოდა ჯარები და საჭურველი. როცა პარიზში, რომში და ევროპის სხვა ქალაქებში გამოჩნდებოდა ხოლმე გენერალი ეიზენჰაუერი ევროპის არმიის შეკოწიწების მიზნით, გაისმოდა მშრომელთა აღშფოთებული შეძახილები: „ეიზენჰაუერ, წადი ამერიკაში!“

საფრანგეთის კომპარტიის მდივნის მორის ტორეზის სიტყვებს: „ფრანგი ხალხი არასოდეს, არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ დღეს იმეორებს არა მარტო საფრანგეთი, არამედ აგრეთვე იტალიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების მშრომელები.

ამას ხედავენ ომის გამჩაღებლები. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის, სიტყვისა და კრებების თავისუფლებას, ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს.

მაგრამ მშვიდობისათვის ბრძოლის იდეა სულ უფრო ღრმად ეუფლება ხალხთა უფართოეს მასების შეგნებას და იქცევა ძალად, რომელიც უკან დაახევინებს ომის გამჩაღებლებს. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ხალხთა მასებს რაზმავს და აკავშირებს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში, ეს მოძრაობა ხელს უწყობს უბრალო ადამიანების პოლიტიკურ ზრდას, კიდევ უფრო აქტიურს ხდის მათ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებებისათვის ბრძოლაში.

კაპიტალისტური მონოპოლიები მეცნიერულ აღმოჩენებს ადამიანთა მოსპობის მიზნით იყენებენ. კაპიტალიზმის სწავლული ლაქიები ამაყობენ ატომური და წყალბადის ბომბებით. ისინი ვატიკანზე ნაკლებად როდი ემსახურებიან ხალხთა შეგნების დაბნელებას. ჭეშმარიტების ფალსიფიკაცია, რასისტული და სხვა ასეთი თეორიები ბურჟუაზიული მეცნიერების მოწოდებაა.

მაგრამ ამ, ეგრეწოდებული მეცნიერების გვერდით არსებობს სხვა მეცნიერება — სოციალისტური მეცნიერება, რომელიც ხალხს ეკუთვნის და ხალხს, პროგრესს ემსახურება.

იგივე უნდა ითქვას ლიტერატურაზე, თეატრზე, კინოზე.

ამ დარგშიც არის ფართო შესაძლებლობანი, ხელსაყრელი ნიადაგი მშვიდობის მომხრეთა მოღვაწეობისათვის. მათ ფართოდ უნდა გაშალონ მშვიდობის სასარგებლო პროპაგანდა მშრომელ მასებში, ჩამოგლიჯონ ნიღაბი ომის გამჩაღებლებს, ხელი შეუწყონ უბრალო ადამიანების სულში გაძლიერებას და შეგნების ზრდას. „მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, მშვიდობა უნდა მოვიპოვოთ“ — ეს მოწოდება ღრმად სწვდება მილიონობით უბრალო ადამიანების გულს.

სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა კეთილი ნების ნახევარმა მილიარდმა ადამიანმა. ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, ჩინეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა ასეთსავე მხურვალე გამოხმაურებას პოულობს მთელ მსოფლიოში კეთილი ნების ყველა ადამიანთა შორის.

მშვიდობის საქმემ უნდა გაიმარჯვოს! მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმიტომ რომ მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას მეთაურობს მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი!

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმიტომ რომ ამ მშვიდობის დროშაა სტალინი! (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართველი ხალხიც. შეაქვს რა თავისი წვლილი კომუნიზმის დიად მშენებლობაში, საქართველოს მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია — ამით იცავენ მშვიდობის საქმეს, განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

ქართველი ხალხისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, მშვიდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის, უძველესი კულტურის ხალხის შემოქმედებით ძალებს თავისუფალი გზა გაუხსნა ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობით.

ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მეცნიერულ დახმარებას უწევს ყველა აქტუალური პრობლემის დამუშავებაში. სოციალისტური შრომა და მშვიდობისათვის ბრძოლა განუყოფელი არიან.

ჩვენს რესპუბლიკაში გრანდიოზული მშენებლობა მიმდინარეობს. ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, შენდება მძიმე ინდუსტრიის გიგანტები, იზრდება ჰიდროელექტროსადგურების რიცხვი, ხორციელდება ფართო სამელიორაციო სამუშაოები. ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ქალაქისა და სოფლის დღითიდღე უფრო კეთილმოწყობილი ხდება. მაღალ დონეს მიაღწია სახალხო განათლებამ, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მეცნიერული მუშაობა, ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება, ახალ საფეხურზე ადის ქართული სოციალისტური კულტურა.

საქართველოს მშრომელთა წინაშე ბევრი პასუხსაგები ამოცანა დგას, რომელთა გადასაწყვეტად აუცილებელია მშვიდობიანი ვითარება.

მშვიდობისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხი მიდის და იქნება მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიანი არმიის პირველ რიგებში.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საქართველოს მშრომელები მტკიცედ დგანან მშვიდობის საგუშაგოზე. სრული პასუხისმგებლობის შეგნებით მოაწერენ ისინი ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს!

გაუმარჯოს მშვიდობის დიდ მედროშეს, მეცნიერების კორიფეს, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ავამაღლოთ ჟურნალების რედაქციების მუშაობის დონე

საბჭოთა ქვეყანაში მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული, ლიტერატურულ-მხატვრული, საწარმოო და სხვა ჟურნალი გამოდის. იბეჭდება სპეციალური გამოცემები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკებისათვის, ქალებისა, ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

საბჭოთა ჟურნალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იდეოლოგიურ მუშაობაში, მოწოდებული არიან მთელ თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებით. დადგენილებაში ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჩვენი ჟურნალები, მეცნიერული ისინი თუ მხატვრული, არ შეიძლება აპოლიტიკური იყვნენ. ჩვენი ჟურნალები საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი საშუალებაა საბჭოთა ადამიანების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ამიტომ უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს, — მისი პოლიტიკით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა ჟურნალების იდეური დონის ამაღლების საქმეში. ბევრმა ჟურნალმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა. ისინი აქტიურ ბრძოლას ეწევიან საბჭოთა იდეოლოგიის გამარჯვებისათვის, ამხელენ ბურჟუაზიულ რეაქციულ მეცნიერებასა და კულტურას. ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულია მთელი რიგი ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები თანამედროვე თემებზე, რომლებსაც სტალინური პრემიები მიენიჭათ.

ჩვენმა საწარმოო-ტექნიკურმა ჟურნალებმა უფრო ფართოდ იწყეს ბეჭდვა ისეთი მასალებისა, რომლებიც განაზოგადებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა საუკეთესო გამოცდილებას და პროპაგანდას უწევენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს.

ჩვენი ჟურნალების შემდგომი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა ბრძოლა მათი იდეური დონის განუხრელი ამაღლებისათვის. საერთო მიმართულების იდეური ურყევობა, უკლებლივ ყველა განყოფილების მუშაობაში მებრძოლური სული და მიზანსწრაფვა წარმატების მთავარი საწინდარია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჟურნალი, რომელსაც მიმართულება არა აქვს, უაზრობაა, სასაცილო, სკანდალური და მავნე რამ არის“. ყოველი გამოქვეყნებული მასალის იდეური დონის მუდმივი ამაღლებისათვის ზრუნვით უნდა იყოს გამსჭვალული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა.

საბჭოთა ხალხი მდიდარია ტალანტებით. ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში არიან შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ სათქმელი ჟურნალების ფურცლებზე. ამოცანა ის არის, რომ ჟურნალების გარშემო გავაერთიანოთ ყოველივე ის, რაც კი ნიჭიერი, ცოცხალი, შემოქმედებითია, გულდასმით შევარჩიოთ გამოსაქვეყნებლად ყოველივე ის, რაც იდეურად და მხატვრულად საუკეთესოა.

სამწუხაროდ, ბევრი ჟურნალის სარედაქციო კოლეგია არ იჩენს საკმაო ზრუნვას ავტორების წრის გაფართოებისათვის, გამოსაქვეყნებელი მასალების იდეური დონის ამაღლებისათვის. ზოგიერთი ჟურნალის დამახასიათებელი ნაკლია უფერულობა, უშინაარსობა, იგი ხშირად საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს საკითხების აქტუალურად დაყენებას, მასში არ იგრძნობა ცხოვრების მაჯისცემა.

არასაკმაოდ მაღალი მომთხოვნელობა, განურჩევლობა დასაბეჭდად მასალების შერჩევაში ზოგჯერ ჟურნალების იდეურ-მხატვრული დონის დაქვეითებას იწვევს. სუსტი ნაწარმოებნი ჯერ კიდევ პოულობენ ადგილს ახალგაზრდა ჟურნალების „სმენისა“ და „მოლოდოი კოლხოზნიკის“ ფურცლებზე. იდეური და მხატვრული დონის ამაღლება ესაჭიროება მთელ რიგ ყოველკვირეულ ჟურნალ „ოგონიოკს“, რომლის ფურცლებზე ხშირად სუსტი ნარკვევები და მოთხრობები იბეჭდება. „ზვეზდას“ და ზოგიერთ სხვა ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალში დაიბეჭდა სერიოზული იდეურ და მხატვრულ ნაკლოვანებათა შემცველი ნაწარმოები. ამ ბოლო დროს სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა უკრაინის, ბელორუსიის, უზბეთის ლიტერატურული ჟურნალები.

არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს ზოგიერთ საწარმოო-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქციების მუშაობას.

მაგალითად, ჟურნალ „კოლხოზნოე პროიზვოდსტვოს“ მუშაობის სამეცნიერო-საწარმოო დონე დაბალია: ჟურნალი თავს ვერ ართმევს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საკოლმეურნეო აქტივისათვის დახმარების გაწევის საქმეში მისთვის დაკისრებულ ამოცანებს. ჟურნალი ცუდად არის დაკავშირებული საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკასთან, სუსტად აშუქებს საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითად საკითხებს, ივსება შემთხვევითი, მდარე მასალებით. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში არ შუქდება და არ ზოგადდება მოწინავე კოლმეურნეობებისა და ბრიგადების გამოცდილება, იშვიათად იხმება ახალი საკითხები, რომლებსაც აყენებენ გამსხვილებულ კოლმეურნეობათა მუშაობის პრაქტიკა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება და სოფლის მეურნეობის მოწინავენი. ჟურნალი ვერ რაზმავს ხელმძღვანელ საკოლმეურნეო აქტივს [illegible] ამოცანის გადასაწყვეტად. ჟურნალში მონაწილეობისათვის საკმაოდ ვერ იზიდავენ გამოჩენილ მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, აგრონომებს, მეცნიერ მუშაკებს პერიფერიის სამეცნიერო დაწესებულებებიდან და კოლმეურნე-მიჩურინელებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცუდად უწევს ხელმძღვანელობას ჟურნალს, ნაკლებად ზრუნავს მისი გაუმჯობესებისათვის, არ წარმართავს რედაქციის მუშაობას.

ცხოვრებასთან, მეცნიერების ძირითად პრობლემებთან არასაკმაო კავშირისათვის მკითხველები აკრიტიკებენ მთელ რიგ სამეცნიერო ჟურნალებს, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა განყოფილებათა „მოამბეს“. აკადემიის გამოცემები თავიანთ ფურცლებზე უნდა აქვეყნებდნენ სტატიებს ისეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემებზე, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან, მხარს უნდა უჭერდნენ ყოველივე ახალს, პროგრესიულს მეცნიერებაში. სამწუხაროდ, აკადემიის ბევრი გამოცემა ჩამორჩება ცხოვრებას, სუსტად არის დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან. ისინი ხშირად აქვეყნებენ არააქტუალურ და ნაკლებად მნიშვნელოვან გამოკვლევებსა და სტატიებს.

ჩვენი ჟურნალების დონის ამაღლების ამოცანები შეიძლება წარმატებით შესრულებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რედაქციები სწორად მოაწყობენ თავიანთ მუშაობას. იმისათვის, რომ ჟურნალი მაღალ დონეზე იდგეს, საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფილ იქნეს მთელი მისი იდეურობა, მებრძოლური პარტიულობა, ხელმძღვანელობა მთელ მის მუშაობაში, აქტიური მონაწილეობა კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

ყოველ ჟურნალს თავისი განსაზღვრული ადგილი უნდა ეკავოს საერთო მუშაობაში, ჰქონდეს საკუთარი „სახე“, უპასუხებდეს მკითხველთა იმ ჯგუფების მოთხოვნილებებს, რომელთათვისაც იგი განკუთვნილია.

ჟურნალის სწორად გაძღოლა გულისხმობს ორგანიზებულობასა და გეგმიანობას რედაქციის მუშაობაში, მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, ყოველი განყოფილების, ყოველი თანამშრომლის მიზანდასახულ და ნაყოფიერ საქმიანობას. ზოგიერთ ჟურნალს კი ხელმძღვანელობენ არადამაკმაყოფილებლად, დაბალ დონეზე. მათი ძირითადი ნაკლი ცხოვრებისგან ჩამორჩენა, ზერელე, შემთხვევითი მასალების გამოქვეყნებაა.

ყველა ჟურნალში როდია შემოღებული რედაქციის მუშაკთა პასუხისმგებლობა გამოქვეყნებული მასალებისათვის, აგრეთვე განყოფილებების საქმიანობისათვის. ეს არის ჟურნალ „სოვეტსკაია კნიგას“ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთი წევრი მხოლოდ ფორმალურად ითვლება მისი განყოფილებების ხელმძღვანელად, ფაქტიურად კი მასალების რედაქტირებაში არ მუშაობს.

ჩვენს ჟურნალებში შექმნილია სარედაქციო კოლეგიები, რომლებიც მოწოდებული არიან კოლექტიურად უხელმძღვანელონ ჟურნალს, შემოქმედებითად განიხილონ დასაბეჭდად გათვალისწინებული მასალები, უზრუნველყონ მათი მაღალი ხარისხი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სარედაქციო კოლეგიები ხშირად უმოქმედობას იჩენენ, დასაბეჭდად გათვალისწინებული მასალები მათ სხდომებზე არ იხილება, ხოლო ზოგჯერ ამ მასალებს სარედაქციო კოლეგიის წევრები არც კი კითხულობენ. სწორედ ასეთ დაუდევრობას ჰქონდა ადგილი ჟურნალ „ოქტიაბრში“, და შემთხვევითი როდია, რომ ჟურნალის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

ჟურნალების სწორი გაძღოლა მოითხოვს მჭიდრო კავშირს ავტორთა აქტივთან და საზოგადოებრიობის ფართო წრეებთან. საუკეთესო შედეგებს აღწევენ ის ჟურნალები, რომლებიც შემოიკრებენ თავიანთ გარშემო მწერლებს, მეცნიერებს, წარმოების მოწინავე ადამიანებს.

ჟურნალის სწორი გაძღოლა ნიშნავს დაუღალავ ბრძოლას როგორც მისი მაღალი იდეური, მეცნიერული, ლიტერატურული დონისათვის, ისე გამოცემის გაფორმებისა და კულტურის გაუმჯობესებისათვის. ვერ შევურიგდებით იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ჟურნალი გაფორმების მხრივ უფერულია, იწყობა წვრილი შრიფტით, მოკლებულია საჭირო გამომსახველობას და მოხდენილობას. რედაქციათა და გამომცემლობათა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს ჟურნალების თავის დროზე გამოსვლა.

ჟურნალების იდეური დონის ამაღლებისა და მათი სარედაქციო კოლეგიების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები მოითხოვს დიდ მზრუნველობას პარტიული, საბჭოთა, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ, რომლებიც მოწოდებული არიან უშუალოდ ხელმძღვანელონ თავიანთი ჟურნალების საქმიანობას.

ჟურნალების გაძღოლის გაუმჯობესების დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. თვითეული იმ ჟურნალის რედაქციის მუშაობაში ღრმად ჩაწვდომასთან ერთად, რომელიც ადგილობრივ გამოდის, პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან წარმართონ მთელი მათი საქმიანობა, მიაღწიონ ყოველი გამოცემის იდეური დონის ამაღლებას. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა ჩვენი ჟურნალების იდეური დონის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

საბჭოთა ჟურნალები კომუნისტური აღზრდის იარაღია. ავამაღლოთ მათი იდეური დონე, მათი როლი იდეოლოგიურ მუშაობაში, კომუნისტური მშენებლობის საქმეში — ასეთია ამოცანა.

„პრავდის“ 18-IX მოწინავე

გამოჩენილი ლატვიელი მწერლის დაბადების 110 წლისთავი

რიგა, 17 სექტემბერი. (საქტაგი). საბჭოთა ლატვიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს გამოჩენილი ლატვიელი მწერლის ანდრია პუმპურის დაბადების 110 წლისთავს. იგი ფართოდ არის ცნობილი როგორც ავტორი ეპიკური პოემის „ლაჩპლესისისა“, რომელიც ლატვიური ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

მეფის ცენზურამ, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული ლატვიის გამომცემლებმა დაამახინჯეს პუმპურის შესანიშნავი ნაწარმოები. პოემიდან ამოღებულ იქნა ყველა ის ადგილი, რომელიც მოწმობდა ლატვიელ და რუს ხალხთა ძველ მეგობრობას. მხოლოდ ახლა მოხერხდა პოემის სრული ტექსტის აღდგენა. ეს გაკეთდა პირველი გამოცემის ახლად აღმოჩენილი ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც ავტორს ეკუთვნოდა. ამ ეგზემპლარში პუმპურის ხელით აღდგენილია ცენზურის მიერ წაშლილი ყველა ადგილი.

პოემა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით ლატვიურ და რუსულ ენებზე, თარგმნილია ლიტვურ, ესტონურ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე. პოემის გმირის — ლაჩპლესისის — სახელი ეწოდა კოლმეურნეობას პუმპურის სამშობლოში, ოგრის რაიონში.

ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის [illegible] სახელობის ბიბლიოთეკამ საიუბილეო თარიღისათვის გახსნა პუმპურის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენის მნახველთა საერთო ყურადღებას იპყრობს „ლატვიური ლიტერატურის კრებული“, რომელიც გამოიცა 1916 წელს პეტროგრადში მ. გორკისა და ვ. ბრიუსოვის რედაქციით. ამ კრებულში პირველად გამოქვეყნდა პუმპურის ლექსების რუსული თარგმანები.

ანდრია პუმპურის ცხოვრებისა და შემოქმედებას უძღვნიან ლიტერატურულ საღამოებს ლატვიის მუშათა და საკოლმეურნეო კლუბებში.

რუსთავის ახალმშენებლობებზე

მეარმატურეები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე

ქალაქის სამშენებლო ობიექტებს რკინა-ბეტონის სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო არმატურით ამარაგებს ბეტონის ცენტრალური კომბინატის საარმატურო საამქრო. ამ საამქროს კოლექტივმა ბოლო ხანებში საწარმოო დავალების მაღალნაყოფიერი შესრულებით განსაკუთრებით ისახელა თავი. მარტო აგვისტოში მან რუსთავის მშენებლებს გათვალისწინებულზე ათეულ ტონობით მეტი სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი სამშენებლო არმატურა დაუმზადა.

საამაყო მაჩვენებლებს მიაღწია სამშენებლო არმატურის დამამზადებელთა ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას ვარდენ კაპანაძე. ორი წელია, რაც იგი რამდენიმე თანასოფლელთან ერთად საჩხერის რაიონიდან რუსთავში ჩამოვიდა. მას დიდი სურვილი ჰქონდა რაც შეიძლება მალე მიეღო მონაწილეობა ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობაში, მაგრამ ხელობის უცოდინარობა უშლიდა ხელს, ამასთან მტკიცედ არ ჰქონდა გადაწყვეტილი რომელი პროფესია აერჩია. გულდასმით დაათვალიერა რუსთავის სამშენებლო ობიექტები და დიდხანს აღარ უფიქრია, ბეტონის ცენტრალური კომბინატის საარმატურო საამქროში მთელი მონდომებითა და გატაცებით შეუდგა ხელობის შესწავლას, თანაც პარალელურად მეტალურგმშენის ტრესტის სასწავლო კომბინატში სპეციალურ კურსებზე დაიწყო მეცადინეობა. ერთი თვის შემდეგ მან უკვე შესძლო გამომუშავების ნორმა 130 პროცენტით შეესრულებინა.

მოკლე ხანში ვ. კაპანაძე ბრიგადირად დანიშნეს. იგი სამუშაო საათების რაციონალურად გამოყენების მიზნით ბრიგადის წევრებს შორის მოფიქრებულად ანაწილებს ფუნქციებს, წესრიგზე აქვს სამუშაო ადგილი, ყოველთვის წინასწარ იმარაგებს საარმატურო მასალას.

აგვისტოში ვ. კაპანაძე ყოველდღიურად ხუთის ნაცვლად 15-ზე მეტ კოჭისა და 60-მდე ფილის არმატურას ამზადებდა და თვის ბოლოს დავალება სამმაგად გაანაღდა. შრომის ნაყოფიერებით თავიანთ ბრიგადირს არ ჩამორჩებიან ახალგაზრდა მეარმატურეები ოთარ კიკილაშვილი და ალექსანდრე ენინი.

ენერგიულად შრომობს აგრეთვე სიმონ ფანჩულიძის მეარმატურეთა ბრიგადა, რომელიც არმატურას ამზადებს რკინა-ბეტონის დაძაბულ-არმირებული მილებისათვის. ბრიგადის წევრებს დღეში 12 მილის არმატურის გაკეთება ევალებათ, ფაქტიურად ისინი ყოველდღიურად 20-25 არმატურას ამზადებენ. დაკისრებული სამუშაოს სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრიგადის საუკეთესო მეარმატურეები პავლე ლუთიძე, გიორგი წიკლაური, შალვა პაელიაშვილი, გიორგი სტეპნიაშვილი და სხვები.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუციის პასუხად მეარმატურეები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადაწყვიტეს შრომის ფრონტზე თავდადებული მუშაობით უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვონ. ვარდენ კაპანაძის ბრიგადის წევრებმა ვალდებულება აიღეს თვიური საწარმოო დავალება 300-ზე მეტი პროცენტით შეასრულონ, სიმონ ფანჩულიძის ბრიგადის მოწინავე მეარმატურეებმა კი დღეში 30-მდე დაძაბულ-არმირებული მილის არმატურის დამზადება იკისრეს.

გ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სალიეთის მარმარილო

ჭიათურის რაიონში ცნობილია სალიეთის წითელი მარმარილოს საბადო. საბჭოთა გეოლოგებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს სალიეთის მარმარილოს უდიდესი მარაგი.

სალიეთის წითელ მარმარილოს გზავნიან თბილისში, ბაქოში, მოსკოვში, ლენინგრადში. მას ფართოდ იყენებენ მშენებლობებზე. საკმარისია ითქვას, რომ სალიეთის მარმარილო დიდი რაოდენობით არის გამოყენებული მოსკოვის მეტროპოლიტენში. ეს მარმარილო იგზავნება აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტის მშენებლობაზე.

მარმარილოს კარიერზე ენერგიულად მუშაობენ ქვის მთლელების მიხეილ და პავლე მოდებაძეების, ქ. კაპანაძის და მტვირთავების შ. მუმლაძის ბრიგადები. კონსტანტინე, შოთა, გრიგოლ და ალექსანდრე მოდებაძეები გეგმებს 110-120 პროცენტით ასრულებენ.

კარიერზე გათვალისწინებულია მძიმე შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. დაწყებულია ელექტროქვესადგურის, საკომპრესოროს, საცხოვრებელი ბინების და სხვ. მშენებლობა. მაგრამ საქართველოს მარმარილოს კომბინატის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უყურადღებობით მშენებლობა ჭიანურდება. წელს რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი უნდა აეშენებინათ, მაგრამ მას მხოლოდ საძირკველი ჩაუყარეს. კარიერზე მოუგვარებელია მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მუშებს არა აქვთ სასადილო, წითელი კუთხე, თვეობით გვიანდება ხელფასის გაცემა და სხვ. ყველაფერი ეს იწვევს მუშახელის დენადობას.

სალიეთის მარმარილოს კარიერს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რკინიგზელებს ორდენები და მედლები გადაეცათ

ბათუმი. (საქ. კორ.). რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია რკინიგზის ბათუმის კვანძის რკინიგზელთა დიდი ჯგუფი.

ამას წინათ მოხდა დაჯილდოებულთათვის ორდენებისა და მედლების გადაცემა. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ ლენინის ორდენი გადასცა სალიანდაგო დისტანციის ხიდის ოსტატს ლავრენტი ლევანის-ძე გურგენიძეს, რომელიც 46 წელიწადია რკინიგზაზე მუშაობს. ლენინის ორდენი გადაეცათ აგრეთვე საორთქლმავლო დეპოს უფროსს მ. ქადეიშვილს, დეპოს უფროსის მოადგილეს, პ. ჩხიკვაძეს, ალმდგენი მატარებლის უფროსს ვ. ბაბუცკის, ლიანდაგის შემომვლელებს ა. გოგუაძეს, პ. კვაჭაძეს და სხვებს. სულ ორდენები და მედლები გადაეცა 195 რკინიგზელს.

127 ახალგაზრდა სპეციალისტი

ყვარელი. (საქ. კორ.). სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სოფელ ენისელის № 2 სახელოსნო სასწავლებელმა, რომელიც 6 წელზე მეტია არსებობს, წელს 127 ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვა. მათ შორის არიან ზეინკლები, ხარატები და ელექტრომონტიორები.

ამ დღეებში მოხდა სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოშვება. ახალგაზრდებმა: უ. კირკიტაძემ, ივ. ჩარბაძემ, ზ. სურმანიძემ, გ. ფარსიმანიშვილმა, ს. კრაწაშვილმა, ფ. ხარდიაშვილმა და სხვებმა სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრეს.

სახელოსნო სასწავლებელდამთავრებულნი სამუშაოდ გაემგზავრნენ ქუთაისის ავტოქარხანაში, სამგორის მშენებლობაზე, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

მექანიკური სახელოსნოს მშენებლობა

დუშეთი. (საქ. კორ.). დუშეთის მტს-ში დაიწყო მექანიკური სახელოსნოს მშენებლობა. მას ექნება ფართო და სინათლიანი შენობა. სახელოსნოში მოეწყობა სამონტაჟო, სახარატო, სამჭედლო, საზეინკლო, შემდუღებელი და გამრეცხი საამქროები, სადაც ახალი კონსტრუქციის დაზგებს დადგამენ.

სახელოსნო, რომლის მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება, უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

მტს-მა მუშაობა გააუმჯობესა

„კომუნისტის" მიმდინარე წლის 25 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „კასპის მტს-ი კვლავ ცუდად მუშაობს".

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვ. მირიანაშვილი გვატყობინებს, რომ აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მტს-ის მუშაობა გაუმჯობესდა. მტს-მა გასულ წელთან შედარებით 3.082 ჰექტარით მეტი თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო, კომბაინებით მოსავლის აღების 1951 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულა.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მიმღებ პუნქტებში განუწყვეტლივ მიაქვთ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი. სურათზე: სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მწონავი გ. ჩხაიძე ხავეთი პუნქტში ჩაის ფოთოლს იღებს კოლმეურნეობის წევრ თინა დოლიძისაგან.

რთველი წინანდალში

წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ი. ჩარკვიანი) წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო. 10 სექტემბერს მეურნეობაში რთველი დაიწყო. შვიდასზე მეტი კაცი და ქალი ყურძნის კრეფას შეუდგა. დღეში გეგმით მეურნეობამ 75 ტონა ყურძენი უნდა მოკრიფოს, ფაქტიურად 150-200 ტონა იკრიფება. აგროგანყოფილებაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ლ. არსენიშვილი ხელმძღვანელობს, ყურძენს სამასამდე კაცი კრეფს. ბევრი მათგანი დავალებას დიდი გადამეტებით ასრულებს. ა. ვეფხიშვილი დღეში 420 კილოგრამ ყურძენს კრეფს, გეგმა კი 300 კილოგრამს ითვალისწინებს. სამაგალითოდ მუშაობენ აგრეთვე თინა ბეჟუაშვილი და ნაზო გრძელიშვილი.

ყურძენს ღვინის ქარხანაში 23 ავტომანქანა ეზიდება, მანქანის მძღოლები გიორგი ჩიკვაიძე, ბაგრატ ლუარსაბიშვილი, ვასილ კრავჩენკო და სხვები დავალებას ორმაგად ასრულებენ.

სოციალისტური შრომის გმირის რ. სავანელის ბრიგადის ნაკვეთებში საშუალოდ ჰექტარზე 75 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. ეს მოსავალი ომამდელს სამჯერ აღემატება. ყურძნის უხვი მოსავალია აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირის ი. გაგნიძის ბრიგადაში. თელიანის აგროგანყოფილებაში (უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი დ. სავანელი) ყველაზე მეტი მოსავალი გ. დათუკიშვილის ბრიგადამ მოიყვანა.

მეურნეობის ღვინის ქარხანაში (უფროსი მეღვინე ა. შამუგია) გაცხოველებული მუშაობაა. შარშანდელთან შედარებით აქ 15.900 ცენტნერით მეტი ყურძენი უნდა გადაამუშაონ. ქარხანამ სამ დღეში 4.900 ცენტნერი ყურძენი გადაამუშავა. წელს დამატებით დადგეს ერთი მუდმივი წნეხი, ერთი ყურძნის საჭყლეტი და კლერტსაცლელი მანქანა, ორი მექანიზებული ღვინის საქაჩი. გაკეთებულია ხის ახალი 19 ბუტი, 1.735 კასრი, ცემენტის ორი ბუტი, ჭაჭის შესანახი 8 აუზი და სხვ. ახალი ჭურჭლის ტევადობა ასი ათას დეკალიტრს აღწევს.

ქარხანაში ყურძნის გადამუშავება მთელი დღე-ღამის განმავლობაში წარმოებს. ს. ვეფხიშვილის და ი. აღდგომელაშვილის ბრიგადები სამკალათიან ჰიდრავლურ წნეხს ამუშავებენ, იოსებ და გიორგი მამალაშვილების ბრიგადები 6 ხრახნიან და 3 მუდმივმოქმედების წნეხებს უწევენ მომსახურებას. ყურძნის წურვის დავალებას ორმაგად ასრულებს ლენინის ორდენოსანი ს. ახმოდიშვილი. იგი 40 წელზე მეტია წინანდლის ღვინის ქარხანაში მუშაობს. სამაგალითოდ მუშაობს ნ. მეგრელიშვილიც.

წინანდალში რთველი სულ უფრო ჩაღდება. უზარმაზარი კასრები რქაწითელის, საფერავისა და კაბერნეს ჯიშის ყურძნის ღვინოებით ივსება. წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელები სუფრის კარგ ღვინოს მიიღებენ.

ს. ძოწლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რვა თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

თეთრი წყარო. (საქ. კორ.). რაიონის კოოპერატივმა (გამგეობის თავმჯდომარე ა. ყაჭეიშვილი) საქონელბრუნვის რვა თვის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის 1 იანვართან შედარებით დებიტორული დავალიანება შემცირებულია 53 ათასი მანეთით. მიმოქცევის ხარჯებში გაწეული ეკონომია 29 ათას მანეთს შეადგენს.

მნიშვნელოვნად შემცირდა საქონლის ნაშთი სავაჭრო ქსელში. სხვადასხვა სახის დამზადებათა გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით. თვითშესყიდვის წესით შეძენილია 15 ტონა ხორცი და 80 ტონა კარტოფილი, რასაც კოოპერაცია აწვდის თბილისისა და რუსთავის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს.

საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში მრავალმა დახლის მუშაკმა ისახელა თავი. თეთრი წყაროს კულტმაღაზიის გამგე-გამყიდველმა ზ. ბექაურმა საქონელბრუნვის 9 თვის გეგმა უკვე შეასრულა. მან ვალდებულება იკისრა, წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს. სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველ გ. მენთეშაშვილს გეგმა 124 პროცენტით აქვს შესრულებული. გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ აგრეთვე დახლის მუშაკები თ. მაისურაძე, ნ. კონკოლიდი, ა. ქემოკლიძე და სხვები.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს პურის საცხობის კოლექტივი (გამგე ი. ჩოხელი), რომელმაც პურის ცხობის რვა თვის გეგმა 141 პროცენტით შეასრულა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა საწვავი. მუშაობა გააუმჯობესა თეთრი წყაროს სასადილომ (გამგე გ. ისიანი), რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 108 პროცენტით.

რაიკოოპერატივის მუშაკებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება წლიური გეგმა ვადამდე — 15 დეკემბრისათვის შეასრულონ. მათ ყველა პირობა აქვთ ამ ვალდებულების გასანაღდებლად.

ჭარხლის პუნქტის კეთილმოწყობა

გორი. (საქ. კორ.). ქალაქის გარეუბანში, სოფელ ტინისხიდის ახლოს დამთავრდა შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის მშენებლობა. მზად არის მუშათა საცხოვრებელი ბინა და კანტორა, პუნქტის ეზო შემოღობილია ღობე-ზი მესერით. მისასვლელი და შიგაეზოები ქვითაა მოფენილი. შემოდგომაზე პუნქტის ტერიტორიის გასამწვანებლად დაირგვება ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარეები.

გორის ჭარხლის მიმღები პუნქტი მზადაა ჭარხლის მოსავლის მისაღებად. მომარაგებულია ჭარხლის გადასაფარებელი ქილობები, შეკეთებულია ინვენტარი, წარმოებს პუნქტის დაკომპლექტება კადრებით. პუნქტის კარმიდამო ელექტროფიცირებულია.

ახალი ავტობუსები თელავში

თელავი. (საქ. კორ.). საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თელავის ავტოტრანსის კანტორამ მიიღო „ზის 155" მარკის ორი კომფორტაბელური ავტობუსი, რომლებიც რკინიგზის თელავის სადგურსა და ქალაქ თელავს შუა მუშაობს.

ავტობუსებმა პირველი ხუთი დღის განმავლობაში 7.000-ზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს.

ციტრუსოვანთა მკრეფელის რამიზ შაქარიშვილის გამარჯვება

ქობულეთი. (საქ. კორ.). აჭარაში ამ უკანასკნელ წლებში აღიზარდნენ და დახელოვნდნენ ციტრუსოვანთა მკრეფელები. საქართველოში ფართოდაა ცნობილი ციტრუსოვანთა გამოჩენილი მკრეფელის რამიზ შაქარიშვილის სახელი. იგი 16 წელია მუშაობს ქობულეთის რაიონის სოფელ ხალას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მან განსაკუთრებით შესანიშნავ წარმატებას მიაღწია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

1949 წლის ზაფხულში ამხ. რ. შაქარიშვილმა მარტო ერთ დღეს დაკრიფა 9.163 ძირი ციტრუსი, რომლის 97 პროცენტმა კარგად გაიხარა. შარშან მან ახალი გამარჯვება მოიპოვა. მთელ სეზონში ამხ. შაქარიშვილმა დარგო 88.000 ძირი ციტრუსი და გაახარა 95 პროცენტი.

მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს მოწოდებაზე ხელმოწერის კამპანიასთან დაკავშირებით რ. შაქარიშვილმა გადაწყვიტა ახალი წარმატებით აღნიშნოს ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის დაწყება. 5 სექტემბერს რამიზ შაქარიშვილმა ციტრუსოვანთა მკრეფის ახალი რეკორდი დაამყარა. მან ამ დღეს დაამყნო 13.350 ძირი ციტრუსი, რითაც 28 შრომადღე გამოიმუშავა.

კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საბრძოლო პროგრამა

დღეს, 19 სექტემბერს, ხუთი წელი შესრულდა, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ".

კოლმეურნე გლეხობა უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ ისტორიულ დოკუმენტს, როგორც კოლმეურნეობათა აყვავებისა და განმტკიცების, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის სტალინური ზრუნვის ახალ გამოხატულებას.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც მიღებულია დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე და დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წლის 17 თებერვალს, წარმოადგენს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის, სტალინური ეპოქის ერთ-ერთ შესანიშნავ დოკუმენტს; იგი უდიდეს როლს ასრულებს კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „ეს არის სოფლად ახალი საზოგადოების აშენების უმაღლესი კანონი, ძირითადი კანონი".

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო თავის 1935 წლის 19 დეკემბრის დადგენილებაში პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მიუთითებდნენ, რომ ისინი „მხოლოდ იმ პირობით შეძლებენ უახლოეს ვადებში მიაღწიონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, თუ სტალინური საკოლმეურნეო წესდება არა ფორმალურად, არამედ საქმით მიიღებს ძირითადი სახელმწიფო კანონის ძალას თვითეულ კოლმეურნეობაში".

ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ნათქვამია: „სოფლად საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ამას დიდად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებამ, რომელიც მიღებულ იქნა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე 1935 წლის თებერვალში, და კოლმეურნეობებზე სამუდამო სარგებლობისათვის მთელი იმ მიწის მიმაგრებამ, რასაც ისინი ამუშავებდნენ".

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, როგორც ომამდელ წლებში, ისე დიდი სამამულო ომის დროს და ახლაც, მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში, საკოლმეურნეო წარმოების განვითარების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლების, კოლმეურნეებისათვის შეძლებული და კულტურული ცხოვრების უზრუნველყოფის საფუძველია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ზუსტად დაცვა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში კოლმეურნეობები ყოველთვის პოულობენ პასუხს იმაზე, თუ როგორ განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობა, როგორ გამოიყენონ უკეთესად საზოგადოებრივი მიწები, როგორ მოაწყონ კოლმეურნეთა შრომა, შემოსავლის აღრიცხვა და განაწილება, როგორ მართონ კოლექტიური მეურნეობა. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება წარმოადგენს კოლმეურნეობათა განმტკიცების მძლავრ იარაღს. მისი ყოველგვარი დარღვევა იწვევს საკოლმეურნეო წყობილების სიმტკიცის შესუსტებას. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, საკოლმეურნეო წყობილების დიდი შემოქმედი ამხანაგი სტალინი მუდმივად ზრუნავენ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად დაცვისათვის.

ჯერ კიდევ 1939 წლის 27 მაისის დადგენილებაში „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ აღნიშნეს ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია არტელის წესდების დარღვევანი. ეს დარღვევანი შედეგი იყო ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის არაბოლშევიკური ხელმძღვანელობისა კოლმეურნეობებისადმი, როცა ისინი კოლმეურნეობებში არ ეწეოდნენ საჭირო ბრძოლას მიწების დატაცებლების, ზარმაცებისა და წამგლეჯების წინააღმდეგ. პარტიამ დაგმო არტელის წესდების დაცვისადმი ასეთი დანაშაულებრივი უყურადღებობის ფაქტები და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, 1946 წელს ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრი მუშაკი ადგილებზე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა არტელის წესდების დარღვევისადმი. საბჭოთა მთავრობამ და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებული მასალებისა და მთელ რიგ ოლქებში ჩატარებული შემოწმების საფუძველზე აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზული დარღვევები იყო.

„ეს დარღვევები, — აღნიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში, — გამოიხატება შრომადღეების არასწორი ხარჯვით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით, საკოლმეურნეო საკუთრების მითვისებით, რაიონული და სხვა პარტიულ-საბჭოთა მუშაკების მხრივ ბოროტმოქმედებებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების — კოლმეურნეობათა გამგეობებისა და თავმჯდომარეების არჩევითობის, კოლმეურნეთა კრებების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების დარღვევით".

დადგენილებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ასეთი ბოროტმოქმედებანი და დარღვევები კოლმეურნეობებისათვის უაღრესად მავნე და ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალისტური მშენებლობისათვის მეტად საშიშარია; რომ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის დამახინჯების და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ასეთ მავნე პრაქტიკას გადაჭრით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. მოკავშირე რესპუბლიკების, საოლქო და სამხარეო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ სასწრაფოდ აღმოეფხვრათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, მთლიანად აღედგინათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოქმედება და დაეცვათ კოლმეურნეობანი საკოლმეურნეო ქონების ხელყოფისაგან.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს კოლმეურნეობებში შესრულებულია დიდი მუშაობა. კოლმეურნეობებში ილიკვეთა მიწების დატაცება, დატაცებული მიწები დაუბრუნდათ კოლმეურნეობებს; მკაცრი კონტროლი დაწესდა შრომადღეების ხარჯვისადმი; კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ დატაცებული ქონება, პირუტყვი, პროდუქტები, ფული; დატაცებაში დამნაშავე პირები მოიხსნენ თანამდებობიდან და მიცემულ იქნენ პასუხისგებაში; კოლმეურნეობებში გადასინჯულ იქნა და შემცირდა ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის გაბერილი შტატები. მათზე შრომადღეების ხარჯვა, განმტკიცდა საკოლმეურნეო წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლები—საერთო კრებების წინაშე გამგეობების ანგარიშების მოსმენა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოების კოლმეურნეთა საერთო კრებებზე არჩევა; კოლმეურნეობები განმტკიცდნენ კადრებით, გაძლიერდნენ მეურნეობრივად და ორგანიზაციულად. უდიდესი წარმატებებია მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში; გაიზარდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავალი, ყოველწლიურად სულ მეტი და მეტი ხვავით და ბარაქით ივსება საკოლმეურნეო ბეღლები, დიდი რაოდენობით ბარდება სახელმწიფოს პროდუქტები.

მიუხედავად იმ დიდი მიღწევებისა, რომლებითაც საქართველოს კოლმეურნეობები ხვდებიან ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის 1946 წლის 19 სექტემბრის ისტორიული დადგენილების მეხუთე წლისთავს, ცალკეული რაიონების კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი არტელის წესდების დარღვევები, უზრუნველყოფილი არ არის საკოლმეურნეო სოციალისტური საკუთრების დაცვა. ზოგიერთი რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში დამთავრებული არ არის უკანონოდ წაღებული ან მითვისებული პირუტყვის, ქონების, პროდუქტების, ფულის დაბრუნება. ასეთი ფაქტებია ახალქალაქის, ახალციხის, ყვარლის, კასპის, მარნეულის, საგარეჯოს, წალკის, ზნაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში. დიდი დებიტორული დავალიანების შედეგად ცალკეულ კოლმეურნეობებში ჭიანურდება კოლმეურნეებთან გასული წლის შრომადღეებზე ანგარიშის გასწორება. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გალის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ზესტაფონის, ქობულეთის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, გორის, ლაგოდეხის და ზოგიერთ სხვა რაიონში. კოლმეურნეობებში თუმცა იშვიათად, მაგრამ კიდევ ვხვდებით მიწების დატაცების, შრომადღეების უკანონოდ ხარჯვისა და საკოლმეურნეო სახსრების გაფლანგვის ცალკეულ ფაქტებს; ყველგან არ არის აღმოფხვრილი დამახინჯებანი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, კოლმეურნეობათა მმართველობის საქმეში.

კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანები ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვენ თვითეულ კოლმეურნეობაში თანმიმდევრულ მუშაობას საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა დარგში არტელის სტალინური წესდების ზუსტად დაცვის, მისი ურყევად განხორციელებისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი ჩაბმულია დიად მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. იგი აშენებს კომუნიზმის დიად ნაგებობებს—ისტორიაში უმაგალითო სიდიდის ჰიდროელსადგურებს, სარწყავ არხებს, მინდორსაცავ ტყის ზოლებს. კოლმეურნე გლეხობა აქტიურად მონაწილეობს ამ დიად მშენებლობაში და, კერძოდ, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებაში.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე მოპოვებულმა წარმატებებმა, სოფლის მეურნეობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესმა მატერიალურ-ტექნიკურმა დახმარებამ შექმნა ყველა პირობა კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობისათვის.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებისა და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე მოიპოვებს ახალ წარმატებებს კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და მოსახლეობისათვის სურსათის, ხოლო მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის საქმეში.

ა. ქანთარია
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო სამმართველოს შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი

ჩეხოსლოვაკიის პატრიოტების წერილი პრეზიდენტ გოტვალდისადმი

პრაღა, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ტერორისტების ბანდამ ამერიკელთა აგენტის ხელმძღვანელობით ძალადობა იხმარა და სამგზავრო მატარებელი ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გადაიყვანა. დასავლეთ გერმანიის საზღვრისპირა სადგურზე ამერიკელმა სამხედრო ხელისუფლებმა მუქარით სცადეს აეძულებინათ ჩეხოსლოვაკი მოქალაქენი უარეყოთ სამშობლო. რაკი ვერაფერს გახდნენ, ამერიკელმა ხელისუფლებმა ისინი დასავლეთ გერმანიიდან გააძევეს.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, იმ ჩეხოსლოვაკ მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელნიც ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა თვითნებობის მსხვერპლი გახდნენ, ჩეხოსლოვაკიაში დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! გულწრფელ სალამს გიძღვნით აშში გატაცებული მატარებლიდან დაბრუნებისთანავე.

რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ამერიკულ ზონაში იძულებითს ტყვეობაში გავატარეთ, ჩვენ გავიგეთ, როგორ ჰქონიათ ამერიკელებს წარმოდგენილი თავისუფლება. ისინი გარს შემოგვერტყნენ სამხედრო მანქანებით, რომლებშიც ტყვიამფრქვევები იდგა. თუმცა მათ ჩვენს წინააღმდეგ უშუალოდ ძალადობა და სიმკაცრე არ ჩაუდენიათ, რაც მათ ჩაიდინეს იმათ წინააღმდეგ, ვინც რამდენიმე ხნის წინათ თვითმფრინავით გაიტაცეს კადინოში, მაგრამ მაინც გავიცანით მათი ნამდვილი სახე და მათი სიძულვილი ყოველივე პროგრესულის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ამას ფარავდნენ, გვაწვდიდნენ რა პაპიროსსა და შოკოლადს. მათ სურდათ მოვესყიდეთ, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, თუ რა „სამოთხეს" გვპირდებოდნენ, რა ცუდად ცხოვრობს გერმანელი მოსახლეობა. როგორია ამერიკელთა ნამდვილი სახე? ეს არის სახე მშვიდობის მტრებისა, რომლებიც ხოცავენ კორეის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობას და რომლებმაც კოლონიად გაიხადეს დასავლეთი გერმანია. ჩვენ ვწყევლით ჩვენი მოღალატეების ორგანიზატორთა, ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა და ომის გამჩაღებლების თანამეწეთა ჯგუფს. ისინი გვეზიზღება არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ მშრომელ ხალხსაც, რომელიც თავისი სამშობლოს ბატონ-პატრონია. ჩვენ დავბრუნდით, იმიტომ რომ გვიყვარს ეს ქვეყანა, იმიტომ რომ გვიყვარხართ თქვენ, რომელსაც მთელი ხალხი მიჰყავს ბედნიერი მომავლისაკენ, მშვიდობის უდიდესი ბურჯის — დიდი საბჭოთა კავშირისა და გენერალისიმუს სტალინის გზით".

გამოხმაურება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლის განცხადების გამო

ბერლინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მხურვალედ უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლის განცხადებას მთავრობის სახელით და სახალხო პალატის მიმართვას დასავლეთ გერმანიის პარლამენტისადმი.

ხეტშტედტის ლითონსაგლინავი ქარხნის მშრომელებმა გამოაქვეყნეს მოწოდება გროტევოლის მთავრობის განცხადებისა და ფედერალური პარლამენტისადმი სახალხო პალატის მიმართვისათვის მხარდაჭერის შესახებ.

ცნობილმა გერმანელმა მუსიკოსმა გერმან აბენდროტმა განაცხადა: „მე ვიწონებ ყოველ ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება გერმანიის ერთიანობის აღსადგენად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. და ამიტომ განსაკუთრებით მივესალმები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას და სახალხო პალატის მიმართვას, რომლებსაც მთელი ძალღონით დავუჭერ მხარს".

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). პარიზის საღამოს გაზეთები გუშინ განაგრძობდნენ ოტო გროტევოლის განცხადებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის გადაწყვეტილების კომენტირებას.

„გროტევოლის მოწოდებამ მთელ გერმანიაში ფარული კენჭისყრის საფუძველზე თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნების მოწყობის შესახებ,—წერს გაზეთი „სე სუარი", —ფართო გამოხმაურება გამოიწვია არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არამედ დასავლეთი საოკუპაციო ზონების ტერიტორიაზეც.

უცხოელ მიმომხილველთა მეტ წილს დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული მთავრობის მეთაურის წინადადება მიაჩნია დიდმნიშვნელოვან ინიციატივად, რომელიც მიმართულია გერმანიის გაერთიანებისა და ოთხ დიდ სახელმწიფოსთან ნამდვილი საზავო ხელშეკრულების დადებისაკენ.

ბევრი ფიქრობს, რომ ბონის მთავრობა ვერ შეძლებს დიდხანს განახორციელოს თავისი უსაფუძვლო მტრული პოლიტიკა, რომ არ გამოაშკარაოს ამით თავისი მიზნები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დატოვებულ იქნას გერმანიის დანაწილება და ამრიგად ხელი შეუწყოს გერმანიის გადაქცევას მსოფლიო ომის საშიშ კერად".

ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების სრულიად გერმანიის ყრილობა

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, 14 და 15 სექტემბერს ბერლინში მიმდინარეობდა ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების სრულიად გერმანიის ყრილობა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი მშვიდობისა და გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლაში გაერთიანების მომავალი საქმიანობის შესახებ. ყრილობას დაესწრნენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და პატიმართა საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე პოლკოვნიკი მანესი, გენერალური მდივანი ლერუა და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

ყრილობის დასაწყისში გერმანიის ყველა მხარის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს გაძლიერებულ სამხედრო მზადებაზე დასავლეთ გერმანიაში. ერთხმად მიღებულ მანიფესტში აღნიშნულია, რომ გაერთიანების მთავარი ამოცანაა გასწიოს გეგმაშეწონილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, იბრძოლოს რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ, ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ყველა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხალხის გამოკითხვაში. ფაშიზმის წინააღმდეგ ფრანგ და გერმანელ მებრძოლთა საბრძოლო კავშირის გზით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა შუმანის გეგმის წინააღმდეგ.

სან-ფრანცისკოში დადებული სეპარატული ხელშეკრულების შემდეგ

შანხაი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, 14 სექტემბერს იქ დაბრუნდა იაპონიის დელეგაცია იოსიდას მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა სან-ფრანცისკოს კონფერენციაში. აეროდრომსა და იმ ქუჩებს, რომლებიც გაიარეს მანქანებმა დელეგაციის წევრებით, იცავდნენ ამერიკისა და იაპონიის პოლიციის დიდი რაზმები. ტოკიოს მოსახლეობას თითქმის არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია იაპონიის დელეგაციის დაბრუნებისადმი.

იოსიდამ მის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე წაიკითხა განცხადება, რომელშიც მოუწოდებდა იაპონელ ხალხს კაბალური სეპარატული ხელშეკრულების პირობების შესრულებისაკენ.

დელეგაციის წევრმა, ფინანსთა მინისტრმა იკედამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სეპარატული ხელშეკრულებისა და „უშიშროების პაქტის" დადება მძიმე საფინანსო ტვირთს აკისრებს იაპონელ ხალხს. იკედამ განაცხადა, რომ იაპონიის მომავალი წლის ბიუჯეტი, თუ არ ჩავთვლით საზავო ხელშეკრულებასთან და „საზოგადოებრივი უშიშროების" დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე „უშიშროების პაქტის" შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შეადგენს 710 მილიარდ იენს მიმდინარე წლის 657 მილიარდი იენის ნაცვლად.

იკედამ აღნიშნა, რომ ამერიკის „დახმარების" ფონდები, რომლებიც მიეცა იაპონიას ომის შემდეგ და რომელთა თანხაც, იაპონიის ბანკის ცნობებით, 11 მილიონ დოლარს შეადგენს, ჩაითვლება იაპონიის ისეთ ვალად, რომელიც გადახდილ უნდა იქნას.

[illegible]

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით კვლავ წარმატებით იგერიებენ მოწინააღმდეგის იერიშებს და ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მტრის 2 გემი და ძლიერ დააზიანეს 2 სხვა გემი, რომლებიც მოუახლოვდნენ კუნძულ კოძეს და ბარბაროსულად დაუშინეს არტილერია სანაპირო დასახლებულ პუნქტებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 7 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სარივონის, სინმაკის, ანაკის, ხვანჯუს, ნამფხოსა და ვონსანის რაიონების ბარბაროსულად დაბომბვასა და მათთვის ცეცხლის დაშენაში.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა სოფიაში

სოფია, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სოფიის სახალხო თეატრში გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის ერთთვიურის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით, საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას, რომელსაც აკადემიკოსი ა. ვ. პალადინი მეთაურობს.

კრება მქუხარე ოვაციითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას!", „გაუმარჯოს ხალხთა მეგობარს—დიდ სტალინს!"—მიესალმა წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის ცენტრალური საბჭოს წევრმა აკადემიკოსმა ტოდორ პავლოვმა.

მან აღნიშნა, რომ ნამდვილი პატრიოტისა და დემოკრატისათვის ბედნიერებაა იცხოვრო და იმუშაო ლენინ-სტალინის დიად ეპოქაში.

პავლოვმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა არმიას, რომელმაც ბულგარეთი ჰიტლერული უღლისაგან გაათავისუფლა. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ, თქვა მან, ბულგარელ ხალხს გაუხსნა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის გზა.

მომხსენებელმა დაახასიათა სოციალიზმის მშენებლობაში ბულგარელი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი და აღნიშნა, რომ ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის და პირადად ამხანაგ სტალინის უანგარო დახმარებას.

პავლოვმა ილაპარაკა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის საქმიანობაზე და შემდეგ განაცხადა:

კავშირი მის მიერ მიღწეული ყველა წარმატებისათვის მადლობას უცხადებს ბრძენ საბჭოთა მთავრობას, სახელოვან საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საბჭოთა საზოგადოებრიობას და უწინარეს ყოვლისა მშრომელთა დიდ მეგობარსა და დამცველს, მშვიდობის მედროშეს სტალინს.

სხდომაზე საბჭოთა ხალხის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ვ. პალადინმა.

დასასრულ ხანგრძლივი მქუხარე ტაშით კრებამ მიიღო მისასალმებელი წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ტირანა, 17 სექტემბერი. (საკდესი). ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური მთელ ალბანეთში არაჩვეულებრივი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მუშათა ცენტრებში, საწარმოებში, სოფლებში, სამიწათმოქმედო კოოპერატივებში და სხვ. იმართება ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, რომლებზეც გამოდიან საზოგადო მოღვაწეები, სახელმწიფო და პარტიული მუშაკები, მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, აგრეთვე საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრები.

ქალაქ კორჩაში საბჭოთა დელეგაციისა და საბჭოთა მსახიობების ჯგუფის ჩასვლის გამო გაიმართა მიტინგი, რომელსაც 15 ათასამდე კაცი დაესწრო. ქალაქის მცხოვრებლები ოვაციებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის წარმოგზავნილთ. დელეგაციას მიესალმა ათასობით ადამიანი, რომლებიც წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს დიდი სტალინის, ბოლშევიკების პარტიის პატივსაცემად, ენვერ ხოჯას და ალბანეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად.

მოსახლეობა დიდი სიყვარულით იღებს საბჭოთა მსახიობებს, მათი გამოსვლები ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობს. მათს გამოსვლებს თვის მხოლოდ პირველ ნახევარში 35 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

ტირანაში თვის დამდეგს გაიხსნა გამოფენა „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საბჭოთა კავშირში", რომელიც მრავალ მნახველს იზიდავს.

დიდი წარმატებით სარგებლობს საბჭოთა კინოფილმები, რომლებსაც ერთთვიურის გამო უჩვენებენ. ფილმი „მოსკოვს დაშორებით" და „უხვი ზაფხული" მარტო ექვს დღეში 25 ათასამდე მაყურებელმა ნახა.

ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მსვლელობაში გაიზარდა სსრ კავშირ და ალბანეთის მეგობრობის საზოგადოების წევრთა რიცხვი.

ჩეხოსლოვაკიაში საზეიმოდ ჩაუყარეს საძირკველი მონუმენტს საბჭოთა არმიის პატივსაცემად

პრაღა, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პლზენის ოლქის ქალაქ როკიცანში საზეიმოდ ჩაუყარეს საძირკველი მონუმენტს გმირი საბჭოთა არმიის პატივსაცემად, რომელმაც 1945 წელს ჩეხოსლოვაკია გაათავისუფლა. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებმა, არმიის და ეროვნული ფრონტის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის წარჩინებულმა ადამიანებმა.

უნგრეთის კინემატოგრაფიის განვითარება

ბუდაპეშტი, 17 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ კინო ხალხის მასობრივი კუთვნილება გახდა.

თუ 1935 წელს უნგრეთში სულ 430 კინოთეატრი ითვლებოდა, ამჟამად ათას ხუთასზე მეტი კინოთეატრი და კინოდანადგარია, რომელთა უმეტესობა სოფლებშია. 1935 წელს უნგრეთის კინოთეატრებში სურათები ნახა 18,5 მილიონმა მაყურებელმა, შარშან კი—47 მილიონმა კაცმა.

უნგრეთის კინემატოგრაფიამ შარშან გამოუშვა 4 მხატვრული ფილმი, წელს გამოვა 12 ფილმი.

ხუთწლიანი გეგმით კინემატოგრაფიის განვითარებისათვის ასიგნებულია 46 მილიონი ფორინტი.

სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის საზეიმო გახსნა

კვირას, 23 სექტემბერს, დღის 12 საათზე ორჯონიკიძის რაიონის სოფელ გორეშაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება სერგო ორჯონიკიძის სახლი-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით მუზეუმის ეზოში მოეწყობა მიტინგი.

სახლ-მუზეუმის გახსნაზე მოწვეული არიან პარტიული, საბჭოთა, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ამჟამად ქალაქ ოდესაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მე-18 პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი კალათბურთელთა კოლექტივები—ქალთა 24 და ვაჟთა 23 გუნდი.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის თასის სამგზის მფლობელი თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა და თბილისის ოფიცერთა სახლის ვაჟთა გუნდები.

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას აღწევენ ქართველი სპორტსმენები. შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდმა ანგარიშით 35:21 მოუგო კიშინიოვის სასპორტო საზოგადოება „ისკრას" კალათბურთელთა გუნდს. დაძაბულ სპორტულ ვითარებაში მიმდინარეობდა შეხვედრა ლენინგრადის სასპორტო საზოგადოება „ნაუკას" გუნდისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ეს შეხვედრა ქართველმა კალათბურთელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მოიგეს ანგარიშით 50:39.

შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი შეხვდა სტალინაბადის „სპარტაკს".

შეხვედრამ თბილისელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა. მოწინააღმდეგის კალათისაკენ თითქმის ყოველ გარღვევას, რაც ხშირად ხდებოდა, თბილისელები ბურთის შედეგიანი ტყორცნით ამთავრებდნენ. ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს თბილისელებმა. მათ მოწინააღმდეგის კალათში ჩააგდეს 102 ბურთი, ხოლო თავის კალათში მიიღეს მხოლოდ 23.

ასევე საინტერესო იყო თბილისის „დინამოს" შეხვედრა რიგის „დინამოს" ძლიერ კოლექტივთან. ეს შეხვედრაც ანგარიშით 41:33 მოიგეს თბილისელმა კალათბურთელებმა. მესამე დღეს თბილისის დინამოელები შეხვდნენ ქალაქ სვერდლოვსკის კალათბურთელებს. შეხვედრა მოიგეს ქართველმა კალათბურთელებმა ანგარიშით 53:43. ამავე დღეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდი დამარცხდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდთან (51:28).

შემდეგი შეხვედრა თბილისის „დინამომ" ჩაატარა მოსკოვის დინამოელებთან. ეს შეხვედრაც თბილისელმა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 63:29. ქართველ კალათბურთელ ქალთა გუნდმა ანგარიშით 53:35 დაამარცხა ლენინგრადის „ისკრას" გუნდი, ხოლო თბილისის „დინამომ" მოუგო კიევის ოფიცერთა სახლის გუნდს ანგარიშით 57:50.

შეჯიბრება გაგრძელდება 21 სექტემბრამდე.

რკინიგზელთა საკავშირო მესამე სპარტაკიადა

თბილისის სასპორტო ბაზებში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა რკინიგზელთა საკავშირო მესამე სპარტაკიადა, მიძღვნილი სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის" მეთხუთმეტე წლისთავისადმი. სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის 46 რკინიგზის ნაკრები გუნდები. სულ მონაწილეობას იღებდა 1.100 სპორტსმენი. შეჯიბრების პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა და ველოსპორტი.

სამი დღის დაძაბული სპორტული ბრძოლის შემდეგ სპარტაკიადის ყველა სახის კომპლექსში საერთო-გუნდური პირველი ადგილი და სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის" საკავშირო საბჭოს 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მეტრომშენის ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მიიღო 17 საჯარიმო ქულა, მეორე ადგილზე 19 საჯარიმო ქულით გამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის ნაკრები გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე — ბელორუსიის რკინიგზის სპორტსმენები (19,5 საჯარიმო ქულა).

ჭადრაკის ოსტატთა საკვალიფიკაციო ტურნირი

17 სექტემბერს თბილისის ცენტრალური ჭადრაკო კლუბში შედგა ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი ტური.

საინტერესო იყო საერთაშორისო ოსტატ ნ. ნოვოტელნოვისა და ოსტატ ო. მოისეევის შეხვედრა. სიცილიური პარტიის რაუზერის ვარიანტში ნ. ნოვოტელნოვმა განავითარა ძლიერი იერიში შავი მეფის წინააღმდეგ, ეტლის ლამაზი შეწირვით მოიგო ლაზიერი და შემდეგ პარტიაც.

ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ სუსტად ჩაატარა პარტია ოსტატ ა. სუეტინის წინააღმდეგ და დამარცხდა. ოსტატობის კანდიდატმა ბ. გურგენიძემ დებიუტში თეთრებით ვერ მიაღწია უპირატესობას ოსტატობის კანდიდატ ა. ფირცხალავასთან, შემდეგ შავებმა ენერგიული თამაშით მიიღეს მატერიალური უპირატესობა და აიძულეს მოწინააღმდეგე დანებებულიყო. მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ოსტატების ვ. კასპარიან-ხ. ფურმანის, ტ. პეტროსიან-ლ. არონინის პარტიები.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ოსტატ ვ. გოლდბერგისა და ოსტატ ი. ლიპნიცკის პარტია. ლიპნიცკიმ ძლიერი თამაშით მიაღწია უპირატესობას. პარტია გადადებულია.

ოსტატობის კანდიდატ ვ. ქარსელაძეს გადადებულ პარტიაში წასაგები მდგომარეობა აქვს ოსტატობის კანდიდატ მ. შიშოვთან.

ოსტატობის კანდიდატის ა. ბლაგიძისა და ოსტატ ი. ბანიკის პარტია გადადებულია თანაბარ პოზიციაში.

გ. გაჩეჩილაძე
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

გუშინ ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოსა" და თბილისის „სპარტაკის" გუნდები. შეჯიბრება მოიგეს კიეველებმა ანგარიშით 3:0.

ამავე დღეს ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ლენინგრადის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 2:2.

17 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედომ" დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" ანგარიშით 2:1.

ლ ე ქ ც ი ა

19 სექტემბერს საღამოს 8 ს. 30 წ., საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მასწავლებლის სახლის დირექცია აწყობენ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ტოგონიძის საჯარო ლექციას თემაზე: **„აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან შეერთების პერიოდში"**.

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოებაში (მახარაძის ქ. № 14, ტელ. 3-12-93) და ლექციის დღეს საღამოს—სალაროში.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი: მოწინავე—საქართველოს მეჩაიეების გამარჯვება.

მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია (სხდომათა დარბაზიდან).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

გაზეთ „ბრძოლის" 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

მეორე გვერდი: მშვიდობის მომხრეთა საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია. ალ. ჯანელიძის მოხსენება. დელეგატების გამოსვლები.

მესამე გვერდი: საერთო სათაურით — „მივცეთ ქვეყანას მეტი ქართული ჩაი" წერილები—მაგალითის ძალა. ვალდებულება განაღდებული იქნება. მოწინავე მეჩაიეების მაგალითისამებრ (სოფლკორების წერილების მიმოხილვა). შრომითი აღმავლობა. ტონობით ჩაი გეგმის გადამეტებით. თავდადებული შრომის ხაყოფი. ქსენია სარსანია და მისი მეგობრები. საერთო სათაურით „ეკონომიურ თემებზე" წერილები — ვ. წერეთელი — მანქანის ხანგრძლივი მუშაობისათვის. ვ. მიხაილოვი — ეკონომისტების საუბრები საამქროებში

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით)

20 სექტემბერს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 მუსორგსკის საფორტეპიანო ნაწარმოებები. 18.10 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები ბელადზე და მშვიდობაზე. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — ოპერის გადაცემა მოსკოვიდან.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „სამშობლო"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მარინე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ჰორიზონტს იქით" (მე-2 აბ.); **მუსიკალური კომედიის** — „ცანის დედოფალი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** —„ბაში-აჩუკი" (6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ძალად ექიმი" (23-ე აბ. 5 ს.); **თოჯინების ქართული** — „ლომბა დარუბანი" (2 და 5 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი), **„იხანი"** (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი) — „მექსიკელი ქალიშვილი"; **„კომკავშირელი"** (საზაფხულო დარბაზი), **„ოქტომბერი", „სპარტაკი", 26 კომისრის სახელობის** (პირველი, მეორე და საზაფხულო დარბაზი)—„ცირკის არენაზე"; **„კოლმეურნე"** (საზაფხულო დარბაზი)—„დავით გურამიშვილი"; **„კოლმეურნე"** — „ვოლგა-ვოლგა"; **„დიდუბე"**—„მეკარე" (საზაფხულო დარბაზი), **„თოელის ფანტაზია"** (საზამთრო დარბაზი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

კლინიკური განყოფილების გამგე (ძირითადი სამსახური) — 1, ექსპერიმენტული განყოფილების გამგე — (ძირითადი სამსახური) — 1. კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (3 ცალად): ავტობიოგრაფია, პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, მეცნიერულ ნაშრომთა სია, თვით ნაშრომები და დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთების ასლები.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 60, ტელ. 3-90-65.

კონკურსის ვადა — 1 თვე დღიდან გამოცხადებისა. **დირექცია.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ნაგებობათა დინამიკისა და სეისმომედეგობის განყოფილებაში.

ინსტიტუტის დირექტორის სახელზე წარმოდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს (ორ-ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო შრომების შეფასება და დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში: თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 8.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. რეგიონული გეოლოგიის განყოფილების გამგე—მეცნიერებათა დოქტორი.
2. ლითოლოგიური ლაბორატორიის გამგე — მეცნიერებათა დოქტორი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1.

მოქალაქე **ლევ ალექსის-ძე ბლინოვმა**, მცხოვრებმა ქ. მოსკოვში, ბოლშოი ტრიოხგორნი შესახვ. № 19/39, ბინა № 1, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ორბელიანის ქ. № 38 მცხოვრებ მოქალაქე **არუსიაკ ბაბაჯანის ასულ ავაკიანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **როზა მიხეილის ასულმა ქავთარაძემ**, მცხოვრებმა მოსკოვის ქ. № 12, აღძრა საქმე რუსთაველის პროსპ. № 38 მცხოვრებ მოქალაქე **ირაკლი მიხეილის-ძე ქავთარაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე სოფიო, შვილი მირიან, ძმები პეტრე, შალვა, გიორგი, დები ეკატერინე, ნინო ახლაკაცები ოჯახებით იუწყებიან **ოსებ ანდრიას-ძე ახალკაცის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX, ს. ტვაში (ქარელის რ.).

მეუღლე ფენია ქედია, შვილი მიხეილ ჩიქოვანი, რძალი ლეცია შვილებით იუწყებიან, რომ 22-IX ქ. ზუგდიდში დანიშნულია ექიმ **გიორგი ნესტორის-ძე ქედიას** პანაშვიდი.

მეუღლე ნინო, შვილები ქეთო, შალვა, გოვა, ლელია იუწყებიან **ნოე გაბრიელის-ძე შანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX ს. ნოსში (საჯავახო).

შვილები ნელი, ედუარდ, შვილიშვილი თეიმურაზ, მძახლები ნიკო, საშა სეფიშვილები იუწყებიან **ევნია კონსტანტინეს ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX საბურტალოში.

ბიძები ვალოდია, ვალიქტიონ, ბიცოლა პასიკო, ბიძაშვილები თინა, ნელი გიორგობიანები, ბიძა ვასო, დეიდა ელენე, დეიდაშვილები ეთერ, ალიოშა, ვენო მეგრელიშვილები იუწყებიან **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ხულაძის** გარდაცვალებას.

ქვისლები ვანო კახიძე, გრიშა მინდაძე ოჯახებით იუწყებიან **მინადორა ნესტორის ასულ ნიჟარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX, ს. გუბში (წულუკიძის რ.).

ნატალია, მიხეილ, მარო, ოლია, მარიდი ძმაშვილები, ნელი საყვარელიძე, სოფიო, შაქრო ხოსიტაშვილები იუწყებიან სიძის დედის **ძიძო პავლეს ასულ ჩქარეულის** გარდაცვალებას.

საქკოოპინკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემადგენლობა იუწყება **თამარ ჩხაიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ცაგერის რაიგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ხულაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივი კორესპონდენტების ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამო[illegible] — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04341